

## სისტემის პარამეტრები

სისტემის პარამეტრებში ინახება მონაცემთა ბაზაში არსებული ოპერაციების პარამეტრები. **ადმინისტრირება /სისტემის პარამეტრები.**

სისტემის პარამეტრები

მთავარი | სხვა პარამეტრები

ორგანიზაციის ტიპი: სამეწარმეო

საწყისი მონაცემების ენა: ქართული

სააღრიცხვო ვალუტა: GEL

შევიწიოთ მოქმედებები სისტემურ ჟურნალში

გავწმინდოთ არსებული სისტემური ჟურნალი.

მივანიჭოთ ოპერაციებს შექმნისა და ბოლო ჩასწორების თარიღი.

გავწმინდოთ არსებულ ოპერაციებში შექმნისა და ბოლო ჩასწორების თარიღები.

ჩამოშლად ღილაკთან სივრცეში ჩანაწერების რაოდენობა: 10

OK | დაცხროთ

ეკრანი შედგება ორი ბარათისაგან „მთავარი “ და „სხვა პარამეტრები“.განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ბარათში „მთავარი“ მოცემულია „ორგანიზაციის ტიპი“ , „საწყისი მონაცემების ენა“ და „სააღრიცხვო ვალუტა“.


თუ მონიშნულია ველი „შევიწიოთ მოქმედებები სისტემურ ჟურნალში“ თქვენს მიერ შესრულებული ყველა ოპერაცია აისახება სისტემურ ჟურნალში.


თუ მონიშნულია ველი „გავწმინდოთ არსებული სისტემური ჟურნალი“ , მაშინ თქვენს მიერ შესრულებული მოქმედებები არ აისახება ჟურნალში.თუ რაიმე მოქმედება იყო დამახსოვრებული სისტემურ ჟურნალში ყველაფერი წაიშლება.

თუ მონიშნულია ველი „მივანიჭოთ ოპერაციებს შექმნისა და ბოლო ჩასწორების თარიღი“ . ყველა საბუღალტრო ოპერაციას მიენიჭება შექმნის და ბოლო ჩასწორების თარიღი.

თუ მონიშნულია ველი „გავწმინდოთ არსებულ ოპერაციებში შექმნისა და ბოლო ჩასწორების თარიღები“ . ყველა საბუღალტრო ოპერაციას წაეშლება შექმნის და ბოლო ჩასწორების თარიღი.


ველში „ჩამოშლად ღილაკებში ჩანაწერების რაოდენობა“ . შეგიძლიათ გაზარდოთ ან შეამციროთ ჩანაწერების რაოდენობა ჩამოშლად ველებში.

ღილაკზე  პარამეტრების ჟურნალი დაჭერისას გახვალთ პარამეტრების ჟურნალის ეკრანზე:




ეკრანში ასახულია ყველა ცვლილება თუ კი რაიმე განხორციელებულა სისტემის პარამეტრებში.

დაანკაპეთ ბარათზე „სხვა პარამეტრები“.




ამ ეკრანში მოცემულია ოპერაციების ჩამონათვალი. ოპერაციის დასახელების წინ არსებულ „+“ ნიშანზე დაწკაპებით ჩამოიშლება მენიუ .



ეკრანზე მოცემულია ოპერაციის შესაბამისი ანგარიშები .ამ შემთხვევაში გახსნილი არის მიღების ოპერაცია. აქ ჩანს თუ რა ანგარიშებზე შესრულდება მიღების ოპერაციები .შეგიძლიათ ეს ანგარიშები შეცვალოთ. დადებით ანგარიშის ველზე და მიუთითეთ სასურველი ანგარიში.

„ყოველთვის ავსახოთ ინფორმაცია ბუღალტრულ გატარებებში, მენეჯერული ოპერაციის შესრულებისას.“ ველის გასწვრივ წერია „False“ რაც იმას ნიშნავს, რომ ოპერაციის დამახსოვრებისას იხილავთ ეკრანს:



თუ ველის „ყოველთვის ავსახოთ ინფორმაცია ბუღალტრულ გატარებებში, მენეჯერული ოპერაციის შესრულებისას.“ გასწვრივ მიუთითებთ „True“-ს, მაშინ ყოველგვარი შეტყობინების გარეშე დაიმახსოვრებს სისტემა ოპერაციას და შეასრულებს შესაბამის საბუღალტრო გატარებებს და ოპერაციის კორექტირების შემთხვევაშიც ავტომატურად მოხდება შესაბამისი გატარებების კორექტირება.

შეგიძლიათ ეს პარამეტრიც სურვილისამებრ შეავსოთ ,თუ გსურთ დატოვეთ „False“ წინააღმდეგ შემთხვევაში დადებით ველზე და მიუთითეთ „True“.განვიხილოთ მხოლოდ მიღების ოპერაციის პარამეტრი ,მაგრამ დანარჩენი ოპერაციების პარამეტრებიც ანალოგიურია.